კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.justice.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 13 იანვარი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

www.justice.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
62.50%
72.87%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
76.92%
38.05%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
25.67%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
59.26%
34.69%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
36.00%
29.89%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
61.54%
36.06%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
20.00%
14.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40.00%
19.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14.29%
19.00%
0.00%
50.00%
100.00%

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „მინისტრი“ სასურველია მოიძიებოდეს სამინისტროს მოქმედი დებულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული მინისტრის კომპეტენციის აღწერა:

ზურაბ ადეიშვილი

ShareThis Like 5

დაბადების თარიღი:
1972 წლის 27 ივლისი, ყვარლის რაიონი სოფელი მთისძირი

განათლება:
1988 წელს დაამთავრა მთისძირის საშუალო სკოლა.
1994 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.
1997 წელს ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.
1998-1999 წლებში სწავლობდა ნიდერლანდებში, გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

სამუშაო გამოცდილება:
1996 წლის თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტში - საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად.
1999 წლის ივნისიდან 1999 წლის სექტემბრამდე სამართლებრივი განათლებისა და ინფორმატიზაციის აღმასრულებელი დირექტორი.
1999 წლის სექტემბრიდან 1999 წლის ნოემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფირმაში „ოქრუაშვილი და პარტნიორები" იურისტად.
1999 წლის ნოემბრიდან 2002 წლის მაისამდე საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომიტეტის თავმჯდომარე.
2002 წლის მაისიდან 2003 წლის დეკემბრამდე - საქართველოს პარლამენტის წევრი.
2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.
2004 წლის თებერვლიდან 2004 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის თანამდებობაზე.
2004 წლის ივნისიდან 2008 წლის იანვრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორი.
2008 წლის იანვრიდან 2008 წლის ნოემბრამდე ეკავა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის პოსტი.
2008 წლის 2 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

ოჯახური მდგომარეობა:
ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ენები
ინგლისური, გერმანული, რუსული

საკონტაქტო ინფორმაცია:
+(995 32) 2 40 52 02
e-mail: press-center@justice.gov.ge

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და ოთხი მოადგილე - ანუ სულ ხუთი მოადგილე. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „მოადგილეები“ მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ სამი მოადგილის შესახებ. ინფორმაცია მინისტრის დანარჩენი ორი მოადგილის შესახებ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. შესაბამისად, სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია მინისტრის დანარჩენი ორი მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება შემდეგი ინფორმაცია: ,,თანამდებობა დაკავებული არ არის“, ,,მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

ხსენებულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის ყველა მოადგილის კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონებისა და ფაქსის ნომრები:



3. ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამინისტროს ფაქსის ნომერი, საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართები და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ერთიანი სარეკვიზიტო ცნობარი: სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, საფოსტო მისამართები, შენობათა მდებარეობის

აღმნიშვნელი რუკები და ფაქსის ნომრები. აგრეთვე არ მოიძიება, სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

სამმართველოს უფროსი
ხათუნა იოსავა

ქ.თბილისი
გორგასლის N24 ა
ტელეფონი: + (995) 32 2 40 52 02

საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
თამარ თომაშვილი

მოადგილე
ბაბუცა პატარაია
ტელეფონი: + (995) 32 2 40 52 04

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
ლევან მესხორაძე
ტელეფონი: + (995) 32 2 40 51 86

გენერალური ინსპექცია

ტელეფონი: + (995) 32 2 40 55 99; + (995) 32 2 40 57 72;

4. სამინისტროს ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას ქვე-განყოფილებები „მმართველობის სფერო“ და „უფლებამოსილებები“, სადაც შესაბამისად განთავსდებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქმედი დებულების მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული მმართველობის სფეროს/ძირითადი ამოცანების და უფლებამოსილებათა აღწერა (ჩამონათვალი):

სამინისტროს შესახებ

ShareThis Like 2

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლი, რომელიც ემსახურება საზოგადოებას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას, კანონიერების განმტკიცებას, ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

მოქალაქეთა მომსახურება: იუსტიციის სამინისტროს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანი მომხმარებლებისთვის ეფექტიანი და ხელმისაწვდომი მომსახურების უზრუნველყოფაა. სწორედ, ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად შემუშავდა იუსტიციის სახლის კონცეფცია, რომელიც მომხმარებლის სერვისთან და ინფორმაციასთან წვდომის გამარტივების თვალსაზრისით, რამდენიმე უწყების საქმიანობას ერთი შენობის ფარგლებში, ერთ სივრცეში აერთიანებს.
იუსტიციის სახლებში მომსახურებას ახორციელებენ სამინისტროს შემდეგი სსიპ-ები და სამსახურები:

- სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ახორციელებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, დაბადების, გარდაცვალების, პირადობისა და ბინადრობის მოწმობების, პასპორტების გაცემას. 2009 წლიდან საერთაშორისო კერძო სამართლის დეპარტამენტის ლეგალიზაციისა და აპოსტილის სამმართველოს მოქალაქეთა მომსახურების ფუნქცია გადაეცა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს უძრავ და მოძრავ ქონებაზე უფლებების რეგისტრაციას.
- სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამმართველო არეგისტრირებს პოლიტიკურ პარტიებსა და შემოქმედებით კავშირებს, გასცემს ლიცენზიებს და ახორციელებს მონიტორინგს კერძო აღმასრულებლებზე.
- ნოტარიუსთა პალატა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც არეგულირებს ნოტარიატის საქმიანობას.
- ადმინისტრაცია იღებს და ამუშავებს მოქალაქეთა მიერ იუსტიციის სამინისტროში შეტანილ განცხადებებს, ორგანიზებას უწევს სამინისტროსა და მისი სისტემის დაწესებულებებში მოქალაქეთა მიღების პროცესს, რეაგირებს მოქალაქეთა განცხადებებზე, რომელთა განხილვაც სცილდება სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების უფლებამოსილებათა ფარგლებს.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

5. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ხეზე (განყოფილება „სამინისტრო“, ქვე-განყოფილება „სტრუქტურა“) სასურველია არსებობდეს აღნიშვნა, რომ საქართველოს პროკურატურა წარმოადგენს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი რვა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ამსახველ ინფორმაციულ ბლოკებს აკლიათ აღნიშვნა „სსიპ“ ან „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“:



- ვებ-გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს სამინისტროს უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის და მისი შიდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/მისი მოადგილის (სასურველია სხვა თანამშრომელთაც) სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს

და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს/მის მოადგილეს:







- ვებ-გვერდზე სასურველია მოიძიებოდეს სამინისტროს უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის და მისი შიდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/მისი მოადგილის (სასურველია სხვა თანამშრომელთაც) საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები):



საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

სამმართველოს უფროსი
ხათუნა იოსავა

ქ.თბილისი
გორგასლის N24 ა
ტელეფონი: + (995) 32 2 40 52 02

საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
თამარ თომაშვილი

მოადგილე
ბაბუცა პატარაია
ტელეფონი: + (995) 32 2 40 52 04

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი
ლევან მესხორაძე
ტელეფონი: + (995) 32 2 40 51 86

გენერალური ინსპექცია

ტელეფონი: + (995) 32 2 40 55 99; + (995) 32 2 40 57 72;

- არ მოიძიება სამინისტროს უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის და მისი შიდა სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

6. სამინისტროს ვებ-გვერდზე სასურველია შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „სათათბირო ორგანოები“, რომელშიც განთავსდებოდა შემდეგი სახის ინფორმაცია არსებობის პირობებში:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სხვადასხვა საკითხის მოსამზადებლად შექმნილი სათათბირო ორგანოების (კომისიები და საბჭოები) ჩამონათვალი;

- ზემოთ ხსენებული სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);

- ზემოთ ხსენებული სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;

- ზემოთ ხსენებული სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

➢ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

7. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული რიგი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებისა, კერძოდ: ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, უახლესი (მიმდინარე, კვარტალური) ტენდერების არქივი, განცალკევებული განყოფილება პროგრამები (ინფორმაცია რიგი პროგრამების შესახებ თავმოყრილია განყოფილებაში სათაურად „პროექტები“), სამინისტროს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, უშუალოდ სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (განცალკევებული განყოფილება „სამინისტროს სტატისტიკა“), ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ბიუჯეტი“, არსებული ქვე-განყოფილებები სათაურად „სამინისტროს ბიუჯეტი“ და „განცხადებები“ იუწყებიან რომ, მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:

მიმდინარეობს რეკონსტრუქცია

მიმდინარეობს რეკონსტრუქცია

არ იხსნება ვებ-გვერდზე განყოფილებაში „ბიუჯეტი“ არსებული ბმული სათაურად „ეკონომიკური დეპარტამენტი“:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტრო“, არსებული ქვე-განყოფილება სათაურად ,,ვაკანსიები“ იუწყება რომ, მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:



სამინისტროს დებულების 25-ე მუხლის „მ“ პუნქტის თანახმად სამართლებრივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას განეკუთვნება კერძო აღმასრულებლების წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმეების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება და მონაცემთა ბანკის შექმნა.

სასურველია, შესაძლებლობისამებრ ხსენებული მონაცემთა ბანკი განთავსდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე:



8. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

9. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე შეიქმნას განყოფილება სათაურად - ,,პროგრამები", სადაც განთავსდება იმ სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთ, შემსრულებელ ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მოცემული განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ (ყოველწლიურ) მოხსენებებს. ამასთან, სასურველია ამავე ქვე-განყოფილებაში გადმოტანილ იქნეს ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელიც ამჟამად თავმოყრილია განყოფილებაში სათაურად „პროექტები":



10. საჭიროა სამინისტროს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა" და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან", სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები (ანალოგიურად საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის ქვე-განყოფილებისა „საერთაშორისო ურთიერთობები"):

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ყოველწლიური ანგარიშები და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიში“ (ანალოგიურად ანალიტიკური დეპარტამენტის 2010 წლის ანგარიშისა):



ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფია. 2010 წლის სექტემბერში საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლის საფუძველზე მოხდა დეპარტამენტის რეფორმირება. რეფორმის შედეგად ანალიტიკურ დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ორი სამმართველო: (i) **სტრატეგიული განვითარების სამმართველო** და (ii) **კვლევისა და ანალიზის სამმართველო.**

ანალიტიკური დეპარტამენტის ფუნქციებში შედის იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებები, დეპარტამენტი აქტიურად არის ჩართული და ხშირ შემთხვევაში კოორდინაციას უწევს სამინისტროში და ზოგადად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმებს.

ანალიტიკური დეპარტამენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია (i) **სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის ხელშეწყობა**, (ii) **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**; (iii) **არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და დანაშაულის პრევენცია;** (iv) **დანაშაულისა და უსაფრთხოების კვლევა**.

ასევე, დეპარტამენტის საქმიანობის ***ძირითადი*** მიმართულებებია:

- სტრატეგიული მნიშვნელობის საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და იმპლემენტაცია;
- სისხლის სამართლის საქმისწარმოების ინტეგრირებული სისტემის შემუშავება და დანერგვა;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან (OECD, GRECO) ანგარიშების წარდგენა;
- სოციოლოგიური კვლევების ჩატარების ხელშეწყობა და შედეგების ანალიზი;
- სტატისტიკა - მეთოდოლოგია და ანალიზი;
- კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და კვლევითი პროექტების მართვა;
- სამართლებრივი კვლევებისა და სიახლეების მომზადება;
- ტრეფიკინგი და ოჯახში ძალადობა.

მიმაგრებული დოკუმენტები:

დებულება

2010 წლის ანგარიში

12. სამინისტროს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არ არსებობს განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს მიერ შეგროვებული და დამუშავებული უშუალოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან დაკავშირებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და

მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. მაგალითად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვე-განყოფილებაში „საქართველოს მთავარი პროკურატურა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტატისტიკა“ მოყვანილი მონაცემები, თუმცა ინფორმაცია განსხვავებით ხსენებული სტატისტიკისა (უახლესი - 2009 წლის მდგომარეობით) სასურველია მოცემულ იქნეს უახლესი მდგომარეობითაც (წლიური და კვარტალური სტატისტიკური მონაცემები):



13. სამინისტროს ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტრენინგები“, სადაც განთავსდებოდა ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტაჟირებების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსებისის შესახებ. ანალოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვე-განყოფილებაში „საქართველოს მთავარი პროკურატურა“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტრენინგები“ მოყვანილ მონაცემებზე:



14. სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიმდინარე პროექტები“, მოყვანილია ინფორმაცია რიგი დასრულებული პროექტების შესახებ, რაც არ ეხმაურება ქვე-განყოფილების სათაურს:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

15. განყოფილებაში ,,სამართლებრივი აქტები" სასურველია შეიქმნას შემდეგი ქვე-განყოფილებები:

- **,,საკანონმდებლო აქტები"**, რომელშიც მოყვანილი იქნება შესაბამისი საკანონმდებლო აქტები;
- **,,კანონქვემდებარე აქტები"**, რომელშიც მოყვანილი იქნება სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, საქართველოს მთავრობის დადგენილებები და განკარგულებები, მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტები *და ა.შ.;*
- **,,სამართლებრივი აქტების პროექტები"**, რომელშიც მოყვანილი იქნება სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები;
- **,,საერთაშორისო ხელშეკრულებები/შეთანხმებები"**, რომელშიც მოყვანილი იქნება შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები;

ყველა სამართლებრივი აქტი სასურველია წარმოდგენილი იყოს უკანასკნელი/ბოლო რედაქციით;

ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამტკიცებული სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სამინისტროს უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის დებულებები.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული (განყოფილება „სამინისტრო“ - ქვე-განყოფილება „სამინისტროს დებულება“ და განყოფილება „სამართლებრივი აქტები“ - ბმული „იუსტიციის სამინისტროს დებულება“) სამინისტროს დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით, იგივე შეიძლება ითქვას ვებ-გვერდზე განთავსებულ შემდეგ სამართლებრივ აქტებზე:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ;
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ;
- საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ;
- საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ;
- საქართველოს კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.



- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. განყოფილებაში სათაურად „საჯარო ინფორმაცია“ სხვა ინფორმაციასთან ერთად სასურველია განთავსდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობათა შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

აგრეთვე სასურველია არსებობდეს ინფორმაცია იუსტიციის სასწავლო ცენტრის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობისა და თანამდებობის შესახებ ინფორმაცია:

საჯარო ინფორმაცია

ShareThis Like 11

საჯარო ინფორმაცია ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომია, გარდა სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა;
საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას;
საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაუყოვნებლივ ან კანონით დადგენილ შემთხვევებში არაუგვიანეს 10 დღისა;
მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, (ასლი, ამობეჭდილი ან ელექტრონული ვერსია) თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში;
გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლის სახით მიწოდების შემთხვევაში "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გამომთხოვნ პირს ეკისრება შემდეგი მოსაკრებლის გადახდა:

ასლი - ერთი გვერდი - 0,05 ლარი;
პრინტერზე ამობეჭდვა - ერთი გვერდი - 0,10 ლარი;
კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა - 1 დისკი - 2,65 ლარი (კომპაქტური დისკის წარმოდგენის შემთხვევაში ინფორმაციის ჩაწერა უფასოა);
დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა - 1 დისკეტა - 1,3 ლარი (დისკეტის წარმოდგენის შემთხვევაში ინფორმაციის ჩაწერა უფასოა);

საკონტაქტო ინფორმაცია:

სამართლებლივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტი
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: ბაჩანა შენგელია
მის: ქ. თბილისი, გორგასლის # 24 ა
ტელ: (+995 32) 240-59-00
e-mail: bshengelia@justice.gov.ge

იუსტიციის სასწავლო ცენტრი
მის: ქ. თბილისი, გორგასლის #24
ტელ: (+995 32) 240 57 85

საკანონმდებლო მაცნე
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: მაგდა მაჩაიძე
მის: ქ. თბილისი, გორგასლის # 24

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომელბიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_infostatistik0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი)გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინსიტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომელბიც მოიცავენ საჯრო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა ან მასზე უარის თქმის თაობზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_sajaro.info.pdf

ინსტიტუტმა აგრეთვე, პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯრო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიშები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia0001.pdf

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. განყოფილებაში „ბიუჯეტი" არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტენდერები" მოყვანილი უახლესი შესაბამისი ინფორმაცია მოძველებულია და თარიღდება 2010 წლით. შესაბამისად, მოცემულ ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე განთავსდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2011 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (არქივი):

ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წელს ჩატარებული ტენდერების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 30 იანვარს საწვავის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში I, II, III და V ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "რომპეტროლ საქართველო", IV ლოტში გაიმარჯვა სს "ვისოილ პეტროლეუმ ჯორჯიან".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 30 იანვარს ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში I და II ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "თეგეტა მოტორსი".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 2 თებერვალს საკანცელარიო საქონლის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში I და II ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადდა ი.ს. "გიორგი კანდელაკი-ვესტა".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 2 თებერვალს საოფისე ტექნიკის სახარჯი მასალების (ქართრიჯები) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში I, III და IV ლოტებში გამარჯვებულად გამოცხადდა ი.ს. "გიორგი კანდელაკი-ვესტა". II ლოტში გაიმარჯვა შპს "დიკომპმ".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 2 თებერვალს სამეურნეო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში I ლოტში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "კომპლექსსერვისი". II ლოტში გაიმარჯვა შპს "სამეურნეო სამსახურმა".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 23 თებერვალს სათარჯიმნო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერი სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადდა არშემდგარად. შესაბამისად გამოცხადდა ხელახალი ტენდერი.

2009 წლის 25 თებერვალს, სათარჯიმნო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, გამოცხადებული ხელახალი ტენდერი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 17 მარტს გამოცხადდა არშემდგარად.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 14 აპრილს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "აკსმენი".

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის საზედამხედველო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით ჩატარებული ტენდერი სატენდერო კომისიის მიერ გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად. შესაბამისად გამოცხადდა ხელახალი ტენდერი.

2009 წლის 18 ივნისს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის საზედამხედველო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ხელახალი ტენდერი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ 2009 წლის 9 ივლისს გამოცხადდა უარყოფითი შედეგით დასრულებულად.

მიმაგრებული დოკუმენტები:

- ტენდერი საოფისე ტექნიკის სახარჯ მასალებზე
- ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2010 წლის ბიუჯეტით ჩატარებული ტენდერების შესახებ.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო " სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს

ამასთან, ეკონომიკური დეპარტამენტის გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „შესყიდვები“ მოყვანილი უახლესი შესაბამისი ინფორმაციაც მოძველებულია და თარიღდება იმავე - 2010 წლით:



*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/justicia_sax.shesyidvebi0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა, 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი)განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და თითოეულ მათგანზე გახარჯული თანხის ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_shesyidvebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/__9_shesyidvebi0001.pdf).

18. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა საქართელოს იუსტიციის სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. მთავარ გვერდზე არსებული განყოფილება სათაურად „ვაკანსიები" იუწყება რომ „მიმდინარეობს რეკონსტრუქცია". ამასთან, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებაში „ვაკანსია" მოცემულია ინფორმაცია სამი გამოცხადებული კონკურსის შესახებ, რაც იძლევა საშუალებას მოცემული ინფორმაცია აგრეთვე გადატანილ იქნეს მთავარ გვერდზე არსებულ განყოფილებაშიც. შესაბამისი ინფორმაციის გარდა,

ხსენებულ განყოფილებასა და ქვე-განყოფილებაში სასურველია აგრეთვე მოიძიებოდეს საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით და საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა:



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_budget0001.pdf*

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუეჯტის 2011 წლის მეორე კვარტლის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს

მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/justicia_budget.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა 2009-2010 წლის ბიუჯეტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (კვარტაკლების ანდა თვეების მიხედვით, ასევე, ბიუჯტში შეტანილი ცვლილებები), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/b_2010_clis_biujeti0001.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა საჯარო ინფორმაცია სამინისტროს 2009-2010 წლების ბიუჯეტის და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესდახებ ინფორმაცია კვარტალების მიხედვით: *http://www.opendata.ge/pdf_files/___2009_clis_biujeti0001.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა შტატში და შტატგარეშე მომუშავე პირთა საერთო რაოდენობა ცალ-ცალკე, 2011 წლის მეორე კვარტალის (აპრილი-მაისი-ივნისი) მდგოამრეობით, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

  http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_sashtato.nusxa.pdf);

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე). *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/justicia_xelfasipremia0001.pdf*

  აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამდებოის პირებზე და სრული სისტემის (ყველა სრუქტურული ერთეული, ტერიტორიული და სხვა სისტემაში შემავალი ორგანო თუ დანაყოფი) თანამშრომლებზე 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გაცემული ხელფასების, დანამატებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ

ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/iusticia_xelfasebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების, სამინისტროს თანამშრომელთა სია თანამდებობების მიხედვით და თითოეულის თანამდებობრივ სარგოებზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/sia_da_sargoebi.pdf

აგრეთვე, მოთხოვნილ იქნა მინისტრის, მინისტრის მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების, მინისტრზე, მინისტრის მოადგილეებზე და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ პირებზე 2009/2010 წლებში გაცემული პრემიების საერთო კვარტალური ოდენობები, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/2_last_added_file.pdf;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის მიმართული წერილით მოითხოვა საჯარო ინფორმაცია: სამინისტროს თანამშრომლების სია, ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და სამინისტროს თანამშრომლების ხელფასებზე 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/iusticiis_saministro.pdf;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება ქვე-განყოფილება, რომელშიც განთავსდებოდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

აღნიშნული ინფორმაცია სასურველია მოიძიებოდეს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „ბიუჯეტი“, რომლის ქვე-განყოფილებაც სათაურად „სამინისტროს ბიუჯეტი“ იუწყება, რომ „მიმდინარეობს რეკონსტრუქცია“:

ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ 2011 წლის 18 ოქტომბერს განხორციელებულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგის შედეგად სამინისტროსათვის მიწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურმა ვებ-გვერდმა განიცადა ინფორმაციული შიგთავსის შემდეგი სახის ცვლილება-დამატებები:

- *ქვე-განყოფილებაში სათაურად „მინისტრი“ განთავსებულ იქნა მინისტრის სამუშაო საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ.ფოსტა):*



- *განყოფილებაში სათაურად „კონტაქტები“ განთავსებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა და სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:*



- *ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნა ერთიანი განყოფილება სათაურად „სამართლებრივი აქტები“:*

- *განყოფილებაში სათაურად „საჯარო ინფორმაცია“ განთავსებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობის (სახელები და გვარები) შესახებ ინფორმაცია:*

სამართლებლივი უზრუნველყოფის, რეგისტრაციისა და ნოტარიატის დეპარტამენტი
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: ბაჩანა შენგელია
მის: ქ. თბილისი, გორგასლის # 24 ა
ტელ: (+995 32) 240-59-00
e-mail: bshengelia@justice.gov.ge

იუსტიციის სასწავლო ცენტრი
მის: ქ. თბილისი, გორგასლის #24
ტელ: (+995 32) 240 57 85

საკანონმდებლო მაცნე
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: მაგდა მაჩაიძე
მის: ქ. თბილისი, გორგასლის # 24
ტელ: (+995 32) 298 36 66
e-mail: mmachaidze@justice.gov.ge

აღსრულების ეროვნული ბიურო
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: ლეილა მიქელაძე
მის: ქ. თბილისი,აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კილომეტრი
ტელ: (+995 32) 749 649 / ფაქსი: 74 93 37
e.mail: lmikeladze@nbe.gov.ge

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: ნინო დანელია
მის: ქ. თბილისი, წერეთლის გამ. #67ა
ტელ: (+995 32) 235 79 68; 235 79 69. 235 79 00
e-mail: n.danelia@sra.gov.ge

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი: იაგო ხვიჩია
მის: ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის #2
ტელ: (+995 32) 291 03 74
e-mail: ikhvichia@napr.gov.ge

- *ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე შეიქმნა ერთიანი განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“:*



- *სამართალშემოქმედების დეპარტამენტის გვერდზე განთავსდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების 24-ე მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად განსაზღვრული თვითმმართველი ერთეულების რეესტრის ელექტრონული ფაილი:*



- *გამოსწორებულ იქნა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, რის შედეგადაც იხსნება შემდეგი ბმულები - „იუსტიციის სასწავლო ცენტრი“, „იუსტიციის სახლი“ და „დებულება“ ხელშეკრულებათა ექსპერტიზის დეპარტამენტის გვერდზე:*

ინფორმაციული შიგთავსის ზემოთ ხსენებული ცვლილება-დამატებების საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციული გამჭვირვალობის ხარისხი გაიზარდა 5.03 %-ით.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66.67%
2. ძიება
80.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
64.71%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
75.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
84.21%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
85.71%
9. ელექტრონული ჩართულობა
16.67%
10. ელექტრონული სერვისები
0.00%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
33.33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
33.33%
0
0.5
1

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-ბრაუზერ “Safari”-ში ტექსტი ჩანს უხეშად სხვა ბრაუზერებთან შედარებით:

მცირე ზომის მონიტორებზე, როგორიც აქვს მაგალითად Laptop-ებს, მობილურებს და სხვა ციფრულ მოწყობილობებს არ ეტევა ვებ-გვერდის მენიუ:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო ფორმას უნდა ქონდეს დამცავი კოდი რათა დაიცვას სერვერი, არასასურველი ელ.გზავნილებისგან:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ზოგადად ყველა ხშირია შემთხვევა როდესაც ინტერნეტ პროვაიდერებს ექმნებათ ტექნიკური პრობლემები და ითიშება გლობალური ქსელი. ეს ნიშნავს იმას, რომ ინტერნეტით ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ ლოკალური (ანუ რა ქვეყანაშიც იმყოფება მომხმარებელი, მხოლოდ იმ ქვეყნის) ვებ-გვერდები. ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი იმუშავებს ძალიან ნელა, რადგან მისი ჩატვირთვა დამოკიდებულია სოციალურ ქსელ Facebook-ზე. თუ ზემოთ აღნიშნულ სოციალურ ქსელთან წვდომა ვებ-გვერდის სერვერს არ აქვს, მაშინ დაგვხვდება შემდეგი სიტუაცია:



ვებ-გვერდი კონტენტის გარეშე არის იმის გამო, რომ სოციალური ქსელის მოდული ვერ ჩაიტვირთა, შესაბამისად პროგრამული კოდი არ გადავიდა შემდეგ ეტაპზე. შემდეგ ეტაპზე გადასვლა ხდება რამოდენიმე წამის შემდეგ, რაც ვებ-გვერდს საგრძნობლად ანელებს. გამოსავალი არის ის, რომ პროგრამულმა კოდმა სოციალური ქსელის მოდულის ჩატვირთვა დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვებ-გვერდი დაასრულებს ჩატვირთვას;

- **ონლაინ სერვისები**

ვებ-გვერდზე ონლაინ სერვისები არსებობს:



თუმცა ყველა მათგანი ატარებს მხოლოდ საინფორმაციო ხასიათს;

ბიუჯეტის გვერდი საერთოდ ცარიელია:



სავარაუდოდ ბიუჯეტის ბმულს გადავყავართ არასწორ მისამართზე:



ასევე, პრობლემაა კატეგორია „ეკონომიკურ დეპარტამენტის“ ბმულზე, მასზე გადასვლის შემდეგ ხდება უსასრულო ციკლი (ანუ ვებ-გვერდის პროგრამულ კოდში ხარვეზია)



მასზე გადასვლით ვებ-გვერდი ითიშება, ანუ ვერ პოულობს შესაბამის გვერდს:



- **დამატებითი პარამეტრები**

საბეჭდი ვერსია ყველა გვერდს უნდა ჰქონდეს განცალკევებულად, სადაც ინფორმაცია მოთავსებული იქნება ვებ-გვერდის დიზაინის გარეშე:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდს აქვს ძირითადად საინფორმაციო სახე, მასში ონლაინ სერვისები, ფუნქციური მოდულები და სხვა მსგავსი ფუნქციებით დატვირთული სერვისები არ გვხვდება; ზოგადად პორტალი გადატვირთულია ინფორმაციით და რთულია საჭირო ინფორმაციის მარტივად მოძებნა. ასევე ვებ-გვერდზე დაშვებულია მცირე ლოგიკური და პროგრამული ხარვეზებიც.